საქართველოს მთავრობის
საკომუნიკაციო სტრატეგია
2024-2027 წწ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

თბილისი

დეკემბერი, 2023

2021
2022
2023
2024
2025
2026
2027
2028
2029
2030

საქართველოს მთავრობის
საკომუნიკაციო სტრატეგია

სარჩევი

შესავალი 3

თავი I. ზოგადი კონტექსტი 5

1.1. მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი 5

1.2. სტრატკომის სამოქმედო გარემო 5

თავი II. სტრატეგია 7

2.1. საქართველოს მთავრობის ხედვა 7

2.2. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზნები და ამოცანები 9

თავი III. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 14

3.1. სტრატეგიის განხორციელება 14

3.2. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი 14

შესავალი

სამთავრობო რეფორმებისა და პროგრამების განხორციელების პროცესში ეფექტიან და მიზანმიმართულ კომუნიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს მოქალაქეებისთვის სამთავრობო გადაწყვეტილებებისა და სამომავლო გეგმების მკაფიოდ განმარტება არის, ერთი მხრივ, ჩვენი საზოგადოების უფლება და, მეორე მხრივ, ხელისუფლების ვალდებულება. შესაბამისად, აუცილებელია სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების პროცესში თანმიმდევრული კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად განსაზღვრა. ამასთან – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პროაქტიულ რეჟიმში მათი ინფორმირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობისა და მხარდაჭერის გაზრდისთვის. ყოველივე ეს ბუნებრივად განაპირობებს საქართველოს მთავრობის იმიჯის განმტკიცებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია 2024-2027 წლებისთვის არის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა პირველად საქართველოს მთავრობის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია მთავრობასა და საზოგადოებას შორის პროაქტიული, თანმიმდევრული და კოორდინირებული საკომუნიკაციო სისტემის ერთიანი ხედვის შემუშავება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას და, მეორე მხრივ, მორგებული იქნება საქართველოს მთავრობის გრძელვადიან საკომუნიკაციო მიზნებზე. კომუნიკაციის სტრატეგია ეფუძნება მთავრობის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტს – „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“ და სრულ თანხვედრაშია ქვეყნის განვითარების გრძელვადიან ხედვასთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, მიზნებსა და ამოცანებთან.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს სამთავრობო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფების წარმომადგენლებმა, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა. სტრატეგიის მიზნებისთვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამის („სტრატეგიული კომუნიკაციები უკეთესი მომავლისთვის“) ფარგლებში ჩატარდა საქართველოს სამთავრობო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემური კვლევა, რომლის შედეგად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, ხოლო მეორე მხრივ, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარების შესაძლებლობები.

სტრატეგიის დოკუმენტი შედგება სამი თავისგან: პირველი თავი ეთმობა ზოგადი კონტექსტისა და საინფორმაციო გარემოს მოკლე მიმოხილვას; მეორე თავში მოცემულია საკომუნიკაციო ხედვა, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელების შედეგადაც უნდა მოხდეს მთავრობის პრიორიტეტებისა და რეფორმების ეფექტიანი კომუნიკაცია საზოგადოებაში; დოკუმენტის მესამე, დასკვნითი, თავი კი ეთმობა კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტებს.

სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია სამოქმედო გეგმა, რომელიც განახლდება წელიწადში ერთხელ, შესრულებული სამუშაოს და არსებულ გამოწვევათა გათვალისწინებით.

უწყებათაშორისი კომუნიკაციის გამართულობა უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანობას. კოორდინირებული მუშაობა მნიშვნელოვანია მიმდინარე პროგრამებისა და რეფორმების განხორციელების პროცესში, რადგან მხოლოდ ერთიანი, თანმიმდევრული და წინასწარ დაგეგმილი საკომუნიკაციო აქტივობებითაა შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა. ამასთან, ეფექტიან შიდა სამთავრობო კომუნიკაციას განსაკუთრებული როლი აკისრია კრიზისული სიტუაციების მართვის დროს, როდესაც კონკრეტულ საკითხზე საჭიროა ერთზე მეტი სამთავრობო სტრუქტურის დროული რეაგირება. ერთიანი გზავნილების ფორმირებისა და შეთანხმებული ქმედებების განხორციელების მიზნით აუცილებელია ყველა სამთავრობო უწყების სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდეთ კოორდინირებული ამოცანები და მიზნები. სწორედ ასეთ პრინციპებზე დაფუძნებული კომუნიკაცია პასუხს აძლევს მათ შორის საინფორმაციო სივრცეში არსებულ და სხვა გამოწვევებს. მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი არის ის მაკოორდინირებელი რგოლი, რომელსაც ევალება სტრატეგიული კომუნიკაციების მაღალ დონეზე კოორდინირება, მათ შორის რეგულარული შეხვედრებისა და პერიოდული ანგარიშგების უზრუნველყოფის გზით.

საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ასევე – სამინისტროების, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციების წარმომადგენლები. სწრაფად ცვალებად საინფორმაციო გარემოში აუცილებელია სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის მოქნილობა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში, განახლდება ან აისახება გარდაუვალი ცვლილებები. რაც შეეხება განხორციელების ბიუჯეტს – სტრატეგიულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი სამთავრობო უწყების ყოველწლიურ ბიუჯეტში შემდეგი წყაროებიდან: სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და სხვა წყაროები (საქართველოს მთავრობის 2021 წლის განკარგულება N740).

თავი I. ზოგადი კონტექსტი

1.1. მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი – *სტრატკომი* – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შემავალი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებაზე, ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობის უზრუნველყოფაზე. ამ მიზნით ის მჭიდროდ თანამშრომლობს ცენტრალურ და ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძო სექტორთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებსა და მედიასთან, ასევე – უწყვეტ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეებსა და მოსახლეობას მთავრობის საქმიანობის, მიღწევებისა და დაგეგმილი რეფორმების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მედიამონიტორინგის გამართული სისტემის არსებობას. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ისევე როგორც ცალკეულ სამინისტროებში, შექმნილია მედიამონიტორინგის დანაყოფები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ როგორც ტრადიციულ, ასევე სოციალური მედიის პლატფორმებს. გამოვლენილ დეზინფორმაციის ფაქტებზე ხდება შესაბამისი რეაგირება საქართველოს მთავრობის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

1.2. სტრატკომის სამოქმედო გარემო

1.2.1. გარე ფაქტორები - მთავრობის სტრატკომს საქმიანობის განხორციელება რთულ და კომპლექსურ გარემოში უწევს, რაც უკავშირდება მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და საინფორმაციო კონტექსტს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. სტრატკომის საქმიანობის შედეგებსა და ეფექტიანობაზე დიდწილად ახდენს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკისა და რეფორმების, ასევე –

სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და საინფორმაციო გარემო, რომელშიც ის ოპერირებს.

საქართველოს საინფორმაციო გარემო, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებისა და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპლექსურია. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები კი განსაკუთრებით ზრდის კომუნიკაციის მნიშვნელობას. ინფორმაციის სწრაფი გავრცელება, საკომუნიკაციო არხები, დეზინფორმაცია და ყალბი ახალი ამბები არის საკითხები, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის – საქართველოსთვის.

საქართველოში დეზინფორმაციული კამპანიების მთავარი მიზანია საზოგადოებრივი მდგრადობის რღვევა, საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა თუ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დისკრედიტაცია.

დეზინფორმაციასთან და ყალბ ახალ ამბებთან ბრძოლა არის მუდმივი, განგრძობითი პროცესი. არაერთი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და საზოგადოების მედეგობის გაზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანია ორი ძირითადი ასპექტი: ერთი მხრივ, აუცილებელია დეზინფორმაციის მხილება და ფაქტებზე დაფუძნებული, მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელება და, მეორე მხრივ, აქტიურად მუშაობა მედიაწიგნიერების მიმართულებით – კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციის წარმომავლობისა და მისივე მიზნის კვლევა-ანალიზი არის უნარი, რომელიც აუცილებელია ყალბი და ნამდვილი ინფორმაციის ერთმანეთისგან გასამიჯნად.

1.2.2. შიდა ფაქტორები - ბოლო წლებში სამთავრობო კომუნიკაციების დაგეგმვისა და განხორციელების საქმეში სტრატეგიულმა კომუნიკაციამ მეტი მნიშვნელობა შეიძინა და მისი მართვის ხარისხი და ეფექტიანობაც ეტაპობრივად გაუმჯობესდა, მათ შორის სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფებში დასაქმებული საჯარო მოხელეების პროფესიული ცოდნის გაღრმავებითა და ტექნიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების გზით. თავდაპირველად, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები ჩამოყალიბდა რამდენიმე საკვანძო მიმართულებით (თავდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო), ასევე – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, მომდევნო ეტაპზე კი სხვა სამთავრობო უწყებებშიც (შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ა.შ). ამასთან, მთავრობის ადმინისტრაციის სტრატკომს მიენიჭა მაკოორდინირებელი ფუნქცია და დაევალა სტრატეგიული კომუნიკაციების მაღალ დონეზე კოორდინირება, მათ შორის რეგულარული შეხვედრებისა და პერიოდული ანგარიშგების უზრუნველყოფის გზით.

თავი II. სტრატეგია

2.1. საქართველოს მთავრობის ხედვა

2.1.1. საქართველოს მთავრობის მთავარი პოლიტიკური მიზანი და ამოცანები

საქართველოს მთავრობის უმთავრეს პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერება, დემოკრატიის, მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება. სახელმწიფოს მთავარ ორიენტირად რჩება სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ განუხრელი სვლა.

ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციითაა გამყარებული. 2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ ევროპულ საბჭოს მისცა რეკომენდაცია, საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ამ ისტორიული გადაწყვეტილებით საქართველოს გაეხსნა გზა ევროკავშირის წევრობისკენ და ქვეყანამ ოფიციალურად გადაინაცვლა ევროკავშირის გაფართოების პაკეტში.

საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი გეგმებისა და პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდამჭერთა განუხრელად მზარდი რაოდენობა. ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება და არსებული მზარდი ტენდენციის შენარჩუნება ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო პოლიტიკის ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობის სტრატკომის საქმიანობა დაგეგმილია მთავრობის მთავარი პოლიტიკური მიზნისა და სტრატეგიული ამოცანების განხორციელების ხელშესაწყობად.

2.1.2. მთავრობის საკომუნიკაციო პოლიტიკა

თანმიმდევრული, ინტეგრირებული და კოორდინირებული კომუნიკაცია საქართველოს მთავრობის დღის წესრიგის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სამთავრობო კომუნიკაციის ამოცანაა, საზოგადოებას აუხსნას, განუმარტოს მთავრობის მიზნები, გეგმები და პოლიტიკა. სიცხადე და მტკიცე პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისის კომუნიკაციის პროცესში, როდესაც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, მოქალაქეთა ინფორმირება, მეორე მხრივ, საზოგადოების ნდობის შენარჩუნება და მხარდაჭერა კრიზისის დაძლევამდე.

წინამდებარე კომუნიკაციის სტრატეგია ემსახურება სწორედ საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესებას ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად მიმართული ძალისხმევის, მათ შორის დაგეგმილი და განხორციელებული ძირეული რეფორმების თაობაზე. ამასთან, სტრატეგიის მიზანია სწრაფი საინფორმაციო-ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში უფრო ეფექტური და ეფექტიანი გახადოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაცია, აამაღლოს ნდობა მთავრობის და სამთავრობო კომუნიკაციების მიმართ, ასევე – შეინარჩუნოს, მოიზიდოს და განავითაროს მაღალკვალიფიციური კადრები.

2.1.3. სამთავრობო კომუნიკაციის ძირითადი ღირებულებები

საკომუნიკაციო სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ვალდებულებაა ქვეყნის მოქალაქეების პროაქტიულად და თანმიმდევრულად ინფორმირება მიმდინარე თუ დაგეგმილი პროგრამებისა და რეფორმების შესახებ. ამავდროულად, ინფორმაციის გაზიარებასთან ერთად, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მოქალაქეების მაქსიმალურ ჩართულობასა და მათგან უკუკავშირის მიღებას. სამთავრობო კომუნიკაცია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- ***გამჭვირვალეობა*** – ღიაობა და საჯარო ხელმისაწვდომობა არის საქართველოს მთავრობის თითოეული სტრუქტურის ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. სრულადაა გააზრებული, რომ მოქალაქეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე;
- ***უტყუარობა*** – საქართველოს მთავრობის კომუნიკაცია ეფუძნება იმ მიდგომას, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება საზოგადოებას, უნდა იყოს გადამოწმებული ყველა შესაბამის სტრუქტურასთან, რათა არ დადგეს ინფორმაციის სანდოობის საკითხი;
- ***დროულობა*** – აუცილებელია საზოგადოებისთვის დროული და თანმიმდევრული ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ;
- ***თანამშრომლობა*** – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი განკარგულება „საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციის საკოორდინაციო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ და ამ დოკუმენტის მიერ შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფი უზრუნველყოფს კოორდინირებულ და სინქრონიზებულ მუშაობას აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით;
- ***ინტერაქციულობა*** – სტრატეგიული კომუნიკაციები, თავისთავად, ინტერაქციულია. საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი პროგრამისა თუ რეფორმის ეფექტიანად დაგეგმვის / განხორციელების მიზნით აუცილებელია თანამშრომლობა და ორმხრივი კომუნიკაცია საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან, რომელთა ყოველდღიურობაზეც აისახება კონკრეტული რეფორმა;
- ***ინოვაციურობა*** – ეფექტიანი და გამჭვირვალე საჯარო მმართველობა თანამედროვე სამყაროში გადის ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე. ამ მიმართულებით აუცილებელია, ერთი მხრივ, საჯარო მოხელეების მუდმივი გადამზადება, რათა მათი მიდგომები მაქსიმალურად იყოს მორგებული თანამედროვე სტანდარტებს და, მეორე მხრივ, საჯარო სერვისებზე დაუბრკოლებელი და თანაბარი ხელმისაწვდომობა.

2.2. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

2.2.1. საკომუნიკაციო ხედვა

მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიის ხედვაა, შექმნას მთავრობასა და საზოგადოებას შორის ღირებულებებზე დაფუძნებული, შიდა და გარე აუდიტორიებზე ორიენტირებული, ეფექტიანი, თანმიმდევრული, კოორდინირებული და პროაქტიული კომუნიკაციის სისტემა, რომელიც მორგებული იქნება ქვეყნის საინფორმაციო საჭიროებებზე. ასევე – საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტი მხარს უჭერს მთავრობის გრძელვადიან მიზნებს ქვეყნის შიდა და გარე აუდიტორიასთან ღია, სანდო, პროაქტიული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი კომუნიკაციის განხორციელების გზით.

2.2.2. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. ეროვნული ინტერესების შესაბამისი და ღირებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაციის წარმოება

სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტიანად გამოყენება ხელს უწყობს ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების შესახებ ნარატივის განმტკიცებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების ერთიანობისა და ქვეყნის რეპუტაციის გაძლიერებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, მთავრობის საკომუნიკაციო პოლიტიკის მიზანია ეროვნული ინტერესების შესაბამისი, ღირებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაციის განხორციელება, რისი საშუალებითაც მიიღწევა ქვეყნის მტკიცე, პოზიტიური იმიჯი.

ამოცანა 1.1. მთავრობის ეროვნული ხედვისა და პრიორიტეტების მხარდაჭერა

სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტიანი გამოყენება ქმნის მყარ საფუძველს მთავრობის პრიორიტეტების მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებისა და გაზრდის მიმართულებით. მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიის ამოცანაა პროაქტიული და ინკლუზიური კომუნიკაციის გაძლიერება, რათა საქართველოს მოქალაქეებს, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, ჰქონდეთ უტყუარი, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მთავრობის პრიორიტეტების შესახებ.

ამოცანა 1.2. საზოგადოებაში ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმართ მხარდაჭერის განმტკიცება

ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის რეგულარულ ინფორმირებასა და ინფორმაციაზე მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის ზრდის

მიმართულებით. ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის დადებით ასპექტებთან ერთად თანმდევი პასუხისმგებლობის გაცნობიერება შესაძლებელს გახდის ქვეყნის მოსახლეობის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეის ირგვლივ კონსოლიდირებასა და მხარდაჭერის მდგრადობას.[1]

ამოცანა 1.3. საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა მთავრობის მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების შესახებ

მთავრობის საქმიანობის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებისა და განმტკიცების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ უზრუნველყოს ფართო აუდიტორებისთვის გზავნილებისა და ინფორმაციის დროული მიწოდება.

საზოგადოებასთან უწყვეტი კომუნიკაციისა და მათი დროულად ინფორმირების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული საკომუნიკაციო კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავენ, ერთი მხრივ, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას მთავრობის პრიორიტეტების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მოქალაქეების დამოკიდებულებების და ქცევების ცვლილებას.

ამოცანა 1.4. მთავრობის იმიჯის ეფექტიანი მართვა სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმაზე

მთავრობის იმიჯის განმტკიცება მთავრობის ერთიანი საკომუნიკაციო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში ნდობის მოპოვების, საზოგადოებასთან თანამშრომლობისა და ჩართულობის უზრუნველყოფის პროცესში. საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის საკომუნიკაციო პლატფორმათა გამოყენება უზრუნველყოფს მრავალფეროვან, ფართო აუდიტორიაზე წვდომას, რაც, თავის მხრივ, სრულყოფილი, თანმიმდევრული ნარატივისა და გზავნილების გამოყენებით შესაძლებელს ხდის საზოგადოებაში მთავრობის პოზიტიური იმიჯის ფორმირებასა და განმტკიცებას.

ამოცანა 1.5. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მედიასთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება

მედიის როლი და მისი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია არამხოლოდ საზოგადოების ინფორმირების, არამედ ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესახებ ნარატივის განმტკიცების პროცესში, რათა მედიამ, ერთი მხრივ, უზრუნველყოს ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შესაბამის აუდიტორიამდე მიტანა და, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ქვეყნის დადებითი იმიჯის ფორმირებასა და განმტკიცებას.

[1] ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების შესახებ საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის.

მიზანი 2. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება

დეზინფორმაცია მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რაც უარყოფითად აისახება სამთავრობო კომუნიკაციის ეფექტიანობაზე. საქართველოში დეზინფორმაციული ნარატივების მიზანია მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირება, საზოგადოების პოლარიზება, დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირება, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შესუსტება, ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის შესუსტება.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება და ამ თვალსაზრისით მოსახლეობის მედეგობის გაზრდა საქართველოს მთავრობის ერთიანი საკომუნიკაციო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა მრავალმხრივ მიდგომას საჭიროებს, რაც მოიცავს მეტად პროაქტიულ კომუნიკაციას, მედიაწიგნიერების მიმართულებით ინიციატივების მხარდაჭერას, მედიაპლატფორმებთან თანამშრომლობის გაძლიერებასა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, შეიქმნება უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც მოემსახურება, აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, დეზინფორმაციის კუთხით დასახული მიზნებისა და მათი ამოცანების შესრულებას.

ამოცანა 2.1. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება

სახელმწიფო უწყებებში სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება წარმოადგენს დეზინფორმაციის გამოვლენისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს. თანამშრომლების აღჭურვა სათანადო უნარებითა და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფს დეზინფორმაციის მავნე გავლენების შესუსტებას და, შესაბამისად, საზოგადოებაში დეზინფორმაციის მიმართ მედეგობის ზრდას.

ამოცანა 2.2. მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა

კომპლექსურ საინფორმაციო გარემოში ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების, გამოყენებისა და შექმნის უნარებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. მედიაწიგნიერების უნარების განვითარება ხელს უწყობს დეზინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ძალისხმევის გაძლიერება მედიაწიგნიერების განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდასაჭერად და, მეორე მხრივ, საქართველოს კომუნიკაციების კომისიასთან თანამშრომლობის გაღრმავება,

რომელიც წარმოადგენს მედიაწიგნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით მთავარ პასუხისმგებელ უწყებას.

ამოცანა 2.3. მედიასთან თანამშრომლობის ეფექტიანობის გაძლიერება/გაუმჯობესება

მთავრობის თანამშრომლობას მედიასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, საზოგადოებისთვის მიუკერძოებელი, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდების, ხოლო მეორე მხრივ, სამთავრობო ინიციატივებისა თუ რეფორმების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერების მიმართულებით. გარდა ამისა, განუზომლად დიდია მედიის როლი დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და საზოგადოების მედეგობის გაზრდის კუთხით.

მიზანი 3. სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ინსტიტუციური სრულყოფა

სახელმწიფო უწყებებში სტრატეგიული კომუნიკაციების გამართული და ქმედითი სისტემების არსებობა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ქვეყანაში რეფორმების განხორციელების, ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებისა თუ კრიზისებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის. სტრატეგიული კომუნიკაციები არის ის ინსტრუმენტი, რომელიც მთავრობას კომპლექსურ საინფორმაციო გარემოში ორიენტირების და სასურველი გზავნილების საზოგადოებამდე მაქსიმალურად ეფექტიანად მიწოდების საშუალებას აძლევს.

ამოცანა 3.1. უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება

უწყებათაშორისი კოორდინაციის გამართული სისტემის არსებობა მეტწილად განსაზღვრავს სამთავრობო კომუნიკაციის ეფექტიანობას. სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფების კოორდინირებული მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის მიმდინარე პროგრამებისა და რეფორმების შესახებ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში. მთავრობის საკომუნიკაციო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია უწყებათშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება, რომელიც განაპირობებს ერთიანი, თანმიმდევრული გზავნილებისა და ნარატივების ფორმირებას, რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას, საზოგადოებაში ბუნდოვანი გზავნილების გავრცელების რისკის შემცირებას, კრიზისების დროს ეფექტიან კომუნიკაციას და შედეგად – საზოგადოების მხარდაჭერის ზრდას სამთავრობო ინიციატივების მიმართ.

ამოცანა 3.2. სტრატეგიული კომუნიკაციების საკოორდინაციო ჯგუფის შესაძლებლობების გაძლიერება

სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის სრულყოფისთვის აუცილებელია საკოორდინაციო ჯგუფის შესაძლებლობების გაძლიერება. ინფორმაციის დროულად გაზიარება, მიმდინარე

საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შეთანხმება მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან, როგორც მთავარ მაკოორდინირებელ ორგანოსთან, განაპირობებს, ერთი მხრივ, საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას, ხოლო მეორე მხრივ, სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების სისტემურ გაძლიერებას.

თავი III. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

3.1. სტრატეგიის განხორციელება

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, სტრატეგიული კომუნიკაციების საკოორდინაციო ჯგუფის საშუალებით, ჩართულია სამინისტროების კამპანიების დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესში. მთავრობის განკარგულების მიხედვით (N740) შეიქმნა საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციის საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი. საკოორდინაციო ჯგუფის მიზანია სამთავრობო პროგრამების შესახებ საზოგადოებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება და კომუნიკაციის ფუნდამენტური ღირებულებების გამოყენებით სტრატეგიული მნიშვნელობის თემებზე კოორდინაციის გაძლიერება. საკოორდინაციო ჯგუფში, რომელიც იკრიბება კვირაში ერთხელ, გაერთიანებულნი არიან სამინისტროების, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის აპარატის წარმომადგენლები.

საკომუნიკაციო კამპანიების ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა ერთიანი მიზნები, რომლებიც იქნება საერთო მთავრობის აღმასრულებელი რგოლისთვის. ესენია:

- **ეროვნული მიზანი** – ნებისმიერი საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ, უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში, პირველ რიგში, უმთავრეს კანონთან, ქვეყნის კონსტიტუციასთან და ასევე მთავრობის მიერ გაცხადებულ ეროვნულ მიზნებთან;
- **მთავრობის მიზანი** – საქართველოს მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაზღვრულია პოლიტიკის ის ძირითადი მიზნები, რომლებზეც მორგებული უნდა იყოს ცალკეული სექტორული მიზნები;
- **სექტორული მიზანი** – სამინისტროების მიერ დაგეგმილი საკომუნიკაციო კამპანიები და აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს ცალკეულ სექტორულ მიზნებს და უნდა დაიგეგმოს შესაბამისი სტრუქტურის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.

3.2. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი

საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიის მიხედვით შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელებისას პროცესში მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი. განხორციელებული აქტივობების მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია, რათა გაიზომოს განხორციელებული საქმიანობისა თუ ჩატარებული კამპანიების

ეფექტიანობა, წარმატების დონე და მხოლოდ ამის საფუძველზე დაიგეგმოს მომდევნო ერთი წლის სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიის მონიტორინგი განხორციელდება შესაბამისობის (არის თუ არა მიზნები და ამოცანები კვლავ აქტუალური), ეფექტურობისა (რამდენად იქნა სტრატეგიის მიზნები და ამოცანები მიღწეული) და გავლენის (რა შეიცვალა განხორციელებული პოლიტიკის შედეგად) კომპონენტების მიხედვით.

სამოქმედო გეგმის ანგარიში შემუშავდება წლის ბოლოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ და მონაცემებს წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ის სტრუქტურა, რომელთა აქტივობაც იქნება გაწერილი საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიის წლიურ სამოქმედო გეგმაში.

საქართველოს მთავრობის
საკომუნიკაციო სტრატეგია